დღეს საქართველოს მომავალს ვირჩევთ!

ЛЕЛО

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

28 ოქტომბერი, კვირა, 1990 წ.
№ 206 (10875) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუნჯეს ერთად ვუპატრონოთ!

დროის დინებას არ გავაჭანოთ

ვინ იცის, რამდენი ორგანიზაცია შექმნილა საქართველოში, უსახურად რომ უარსებია და ასევე ჩუმად, უხმოდ დაშლილა. მიზეზი მრავალი იყო: ან მათი დაარსების დედააზრი იყო მცდარი, ან უსაქმურთა თავშესაფრად იქცნენ, ან კიდევ ეკონომიკური საფუძველი ჰქონდათ მორყეული.

ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის, რომელსაც სულ ახლახანს, 6 ოქტომბერს დაედო სათავე, ამ სამივე საკითხში, ერთი შეხედვით მაინც, წელი გამართული უნდა ჰქონდეს ანდა სამომავლოდ ექნება. ასოციაციის მნიშვნელობის გარდა, ამის დასტურია მისი საბჭოს შემადგენლობა და აგრეთვე ის დიდი ყურადღება, რომელსაც მისი წევრები იჩენენ ახალი ორგანიზაციის ფეხზე დასაყენებლად.

გუშინ, გამგეობის მეორე სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გურამ მგელაძე, მართლაც ძლიერი და გავლენიანი „კაბინეტი“ შეიკრიბა: საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ანზორ ბურჯანაძე, ჩვენი სახელოვანი ფალავნები, გივი კარტოზია და ლევან თედიაშვილი, პროფესორი დმიტრი წვერავა, ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ომარ გოგიაშვილი, საქართველოს მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის, სპორტსახკომისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ მეტად სერიოზულმა და სოლიდურმა საკრებულომ განიხილა პირველი ამოცანები, რომლებიც ასოციაციის განტკიცება-გაფართოებას შეუწყობენ ხელს — მისი სტრუქტურის, ხელმძღვანელი ორგანოების, მატერიალური ბაზის და სხვა საკითხები.

და რადგან, აღნიშნული ამოცანები გადაწყვეტის საწყის სტადიაშია, მათზე საუბარი უახლოესი დროისათვის გადავდოთ, ოღონდ აქვე უნდა აღინიშნოს კონკრეტული საქმეც, რომელიც სხდომაზე ოპერატიულად გადაწყდა, კერძოდ, 24-25 ნოემბერს ქართულ ჭიდაობაში მეორე საერთაშორისო ტურნირის გამართვის საკითხი, რომელსაც დიდი ფინანსური სიძნელე ეღობებოდა წინ. ბატონმა გურამ მგელაძემ დამსწრეთ აღუთქვა, რომ მას მეტად მაღალ დონეზე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განიხილავენ და ასეთი გზით ყველა პრობლემას, მათ შორის ტურნირის დაფინანსებასაც მოევლებაო. ეს მართლაც, დროული დახმარება იქნება, რადგანაც წლეულს შეჯიბრებაზე მეტი უცხოელი იქნება, ვიდრე შარშან. ბატონმა ანზორ ბურჯანაძემ, თავისი ორგანიზაციის სახელით, სტუმართა კულტურული მომსახურება, აგრეთვე სათანადო პრიზების გამოყოფა ითავა.

თუმცა ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის წესდება დახვეწის პროცესშია (პროექტში თავისი შენიშვნები შეიტანეს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა...), მაგრამ ასოციაციის საბჭოს სხდომაზე ზოგადი სახით მაინც გამოიკვეთა ახალი ორგანიზაციის სამომავლო სფერო. იგი საკმაოდ შთამბეჭდავია, ითვალისწინებს რა არა მარტო ეროვნულ სახეობათა აღორძინებას, არამედ, შეძლებისდაგვარად, საკუთარი წვლილის შეტანას მთელი ქართული სპორტის განვითარების ხელშეწყობაში... მაგალითად, თუნდაც ბატონ ნოდარ ამაღლობელის სიტყვებს მოვიტანთ: „ძალიან მაწუხებს სტუდენტთა სპორტული ცხოვრების მდგომარეობა, ჩემი ახალგაზრდობისას გაცილებით უკეთესად იყო საქმე, ახლა კი ბევრი რამ მხოლოდ ქაღალდზე გვაქვს, ფიზკულტურის გაკვეთილებიც არ ტარდება სათანადო დონეზე. ანდა ეს ყალბი გამოცდები, სპორტსმენებისთვის რომ ვაწყობთ... ეტყობა, ძველი მეთოდებით ვმუშაობთ...“

დმიტრი წვერავა: ჩვენი ცხენოსნური თამაშობები — ისინდი, ცხენბურთი... ნამდვილი ოქროს ფონდია. ეს უცხოეთშიც იგრძნეს და ახლა დიდ დაინტერესებას იჩენენ მათ მიმართ. ამჟამად დიდი შესაძლებლობა ჩნდება საზღვარგარეთ გავაცნოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე, ოღონდ ყველაფერ ამას სათანადო შრომა და სამზადისი სჭირდება.

ლევან თედიაშვილი: ჩემის აზრით, ასოციაციის არსებობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეექმნება მას მტკიცე ფინანსური საფუძველი. ახლა ამის ბევრი გზა არსებობს...

ვალერი ასათიანი: ხალხური სპორტიც ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია, საქართველოს კულტურის სამინისტრო მზად არის შეასრულოს ასოციაციის შეკვეთები...

გურამ მგელაძე: უცხოეთში მინახავს, როგორ ზრუნავენ თავიანთ ჩემპიონებზე, იღებენ ბიოგრაფიულ ფილმებს და სხვა. არც ჩვენ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები, მახსოვს, კარგა ხნის წინათ, ცხაკაიაში, ბიჭები მაღალ ხიდს მაჩვენებდნენ და აღტაცებულნი მეუბნებოდნენ, აქედან მხოლოდ გივი კარტოზია ბედავდა გადახტომასო...

ასოციაციის გამგეობის აღნიშნული სხდომა, ამაზე ყველა დამსწრე დაგვეთანხმება, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. იქვე გადაწყდა, რომ მას თავდაპირველ ფინანსურ დახმარებას აგროსამრეწველო. კომპლექსი გაუწევს, შემდეგ კი იგი სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაცია გახდება.

სხდომაზე ითქვა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოში ყოველდღე 20-25 ახალი ასოციაციის დამტკიცების საქმე იხილება. ვინ რას გააკეთებს, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ახლავე გვინდა ვთქვათ, რომ უკვე კარგი საქმეა, რომ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც მზად არის, დროის მდორე წყალს გატანებულ სპორტის ეროვნულ სახეობებს ხელი გაუწოდოს და ნაპირზე გამოიყვანოს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დეგიუტანტი დინამოელთა შორის

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ფრუნზე) 89:76 (49:37).

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 26 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბ): უსტიაშვილი (3), ხხიერელი, მურაიტოვი (10), ბოგიბერიშვილი (6), თორთლაძე (4), დარსაძე (1), ხელაშვილი (4), შენგელია (22), ფერიაშვილი (15), ბაქრაძე (6), დაუშვილი (6), ცხვედიანი (12).

„დინამო“ (ფრ): ნეფოელი (2), მაკიევი (7), სტრელკინი (18), ტინაევი, დარაჩოვი (7), ტაიგუსოვი (10), სარაზადინოვი (14), იზბაკიევი, ისაკოვი (10), კარეტნი (8), გეკკი, ზაკიროვი.

მსაჯები: ი. ანტონოვი (ნარვა), კ. როსტისლავლევი (მოსკოვი).

მომენტი განვლილი მატჩიდან. („ფრუნზე“).

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ ა. კოკლამაზაშვილის ფოტო.

წინა ორ ტურში წარუმატებელი გამოსვლების შემდეგ თბილისის „დინამო“ შინ მასპინძლობს მესამე ტურს, რომელსაც ქართველი კალათბურთის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ. გასულ წლებთან განსხვავებით ახალ სეზონს დინამოელები განახლებული შემადგენლობით შეხვდნენ. თაობათა ცვლის პროცესს ყველა კლუბი მტკივნეულად განიცდის და არც ჩვენი პირველი გუნდია ამ მხრივ გამონაკლისი. თბილისის „დინამოში“ ჯერ არ დამთავრებულა თაობათა ცვლა, არიან გუნდში ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ, მოგეხსენებათ, გამოცდილება ასეთ დროს ბევრს წყვეტს სპორტში და მით უფრო კალათბურთში. იმედია, დროთა განმავლობაში ჩვენი სპორტსმენები უფრო მაღალ შედეგებზე იფიქრებენ და გაახარებენ გულშემატკივრებს კარგი თამაშით.

ფრუნზელებთან შეხვედრისას კიდევ ერთი დებიუტანტი იხილა მოედანზე მაყურებელმა, „მართვეს“ სკოლის აღსაზრდელი იგორ მურაიტოვი. ვინც თვალს ადევნებდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის კალათბურთელთა ტურნირს, ემახსოვრება ეს ნიჭიერი სპორტსმენი, რომელიც ჯერ 16 წლისაა. ამ დღეს ტრავმის გამო ვერ ვიხილეთ ვია სანაძე.

მატჩის პირველი წუთები თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ შემდგომ ნელ-ნელა გამოიკვეთა თბილისელთა უპირატესობა. პირველ ნახევარში მათ აშკარად დაჯაბნეს მეტოქე — 49:37.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ოდნავ მოადუნეს ყურადღება, რითაც კარგად ისარგებლა მეტოქემ და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა, მაგრამ საქმე ამას იქით არ წასულა. თბილისელებმა კვლავ უმატეს ტემპს და საბოლოოდ დაამარცხეს მეტოქე 89:76. ყველაზე შედეგიანი თბილისელთა გუნდში ამ დღეს იყო კახა შენგელია, რომელმაც კოლექტივს 22 ქულა შესძინა.

გია ნათაძე

გუშინ: „დინამო“ (თბილისი) — „უზსტროიმეზანიზაცია“ (ტაშკენტი) 114:90 (52:41).

• • •

ასკ (ალმა-ათა) — „უზსტროიმეზანიზაცია“ (ტაშკენტი) 75:84 (48:43).

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 26 ოქტომბერი.

ასკ: პეშენოვი (6), კირილოვი (10), ოვჩინიკოვი (5); ი. ტიხონოვი (17), ფილიპოვი (6), გრაჩოვი (24), დემურინი (7).

„უზსტროიმეზანიზაცია“: ტელეგინი (6), კავარდაკი (6), ფარსოვი, ვილგემი (28), ლევინი (2), ჩერნოსიტოვი (19), ჩერნოვი (7), იუსუპოვი (6), რიაზანოვი, პეტრიშევი, შჩეგლინსკი (2), ფიმოშკინი (18).

მსაჯები: ს. ფოშინი (სმოლენსკი), გ. ლუკიანენკო (ეისკი).

სხვა მატჩები

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები სხვა ჯგუფებშიც.

მინსკი. „ბუდიველნიკი“ (კიევი) — „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი) 100:82 (44:43), რტი (მინსკი) — „სპარტაკი“ (ლუგანსკი) — 88:86 (56:47).

ალინი. „კალევი“ (ტალინი) — იმპულსი“ (კრასნოდარი) 104:90, „დინამო“ (მოსკოვი) — „ავტოტრანსპორტნიკი“ (სარატოვი) 125:101 (55:41).

ლენინგრადი. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ (რიგა) 97:95, ვეფ (რიგა) — „სტროიტელი“ (მოსკოვის ოლქი) 81:59.

ფეხბურთი — ევროპა

კიდევ ერთი ეოკ-ი

26 ოქტომბერს ერევანში გაიმართა სომხეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი ყრილობა, რომელზეც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარე რ. აკოფიანი. პირველი ვიცეპრეზიდენტები გახდნენ გ. შაგინიანი და სომხეთის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ისპირიანი.

ახალი მსოფლიო რეკორდი

მოსკოვი. ოლიმპიურ ველოტრეკზე კრილატსკში გაიმართა საინტერესო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკაია ტორგოვლიას“ პრიზზე, რომელზეც გაუმჯობესდა პროფესიონალთა მსოფლიო რეკორდი. 24 წლის ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა გამოდევნებით რბოლაში 5 კილომეტრზე 5 წუთი და 40,872 წამი აჩვენა.

ძველი რეკორდი (5.41,204) ეკუთვნოდა ფრანგ ფრანსის მოროს და დამყარებული იყო წლეულს ტოკიოში ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

„ასე სუსტად ჯერ არ უთამაშია...“

როცა მატჩის მეშვიდე პარტია გადაიდო, დიდოსტატმა ვალერი სალოვმა თქვა: „უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ კასპაროვს ასე სუსტად ეთამაშოს“.

მაინც რა მოხდა ამ პარტიაში?

კასპაროვმა შავები, როგორც ყოველთვის, ძველინდურ დაცვას მიმართა. დებიუტის შემდეგ წარმოიქმნა საკმაოდ მშვიდი პოზიცია, რომელიც ხშირად შეგვხვედრია სატურნირო თუ სამატჩო პრაქტიკაში: თეორეტს რამდენადმე უკეთესი მდგომარეობა აქვთ, მათ შეუძლიათ თანდათანობით გაუმჯობესონ თავიანთი პოზიციური უპირატესობა, შავებმა კი როგორმე კონტრთამაში უნდა წამოიწყონ. ერთი სიტყვით, ეს ისეთი სიტუაცია იყო, რომელიც მსოფლიო ჩემპიონს მაინცდამაინც არ შეეძლო მოსწონებოდა. კასპაროვმა მართლაც აქტიურად დაიწყო თამაში, მაგრამ შექმნილ პოზიციაში ამას რაიმე სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. კარპოვმა რამდენიმე ზუსტი სვლით უკუაგდო შავების ფიგურები, შემდეგ კი პოზიციური მანევრებით მეტოქე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

ასეთ უსიამოვნო პოზიციაში კასპაროვმა მძიმე შეცდომა დაუშვა. მისი გარეგნულად აქტიური 27-ე სვლით თეორეტმა კარგად ისარგებლეს. საფრთხეში აღმოჩნდა კასპაროვის ლაზიერი, „შველას ითხოვდნენ“ ჩემპიონის პაიკები ცენტრში და ლაზიერის ფრთაზე.

ამ მომენტში მიმომხილველები მიიჩნევდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვეღარ იხსნიდა პარტიას. კასპაროვმა გადაწყვიტა პაიკი დაეთმო. თამაში გადავიდა კარპოვის მოსაგებ ეტლების ენდშპილში. აქ მას ზედმეტ პაიკთან ერთად გადამწყვეტი პოზიციური უპირატესობაც აქვს.

როგორც ამერიკელმა დიდოსტატებმა მაქს დლუგმა და მაიკლ როდემ განუცხადეს ჟურნალისტებს, ამ პარტიაში ბრძოლა აღარ განახლდება — ისედაც ყველაფერი ნათელია. აშშ-ის უძლიერესი მოჭადრაკის იასერ სეირავანის აზრით, კასპაროვს ამ მატჩში ასე სუსტად ჯერ არ უთამაშია.

პრეს-ცენტრში პირველად გამოჩნდა მიხეილ ტალი. გადადებული პოზიცია მან, ჩვეულებისამებრ, პარადოქსულად შეაფასა: „შავებს არ შეუძლიათ თავი წაგებისაგან იხსნან, მაგრამ შეიძლება თეორეტმა ისე ითამაშონ, რომ ვერ მოიგონ“. მაგრამ, ამავე დროს, ტალი თვლის, რომ ჯერჯერობით ტონს მატჩში კასპაროვი და მისი „გუნდი“ იძლევიან.

ბავახსოვხართ, ჩემპიონებო!



სიმღერას წააგავდა...

„ხალიჩაზეა ირინე ბაბაშვილი...“ — ამ სიტყვების გამოცხადებისას და შემდეგ, სპორტსმენის ოსტატობის ხილვისას, ვინ იცის, რამდენნ შაყურებელი დარჩენილა კმაყოფილი და გახარებული, არა მარტო ჩვენთან, საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ვიღაცას მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის შემდეგ, უხუმრია კიდეც: „ამ თითისტოლა გოგომ მოჭიდავეთა ორი გუნდი გააკრა ხალიჩასო“. აი, ასე იყო სათვალელი მის მიერ მოპოვებული მედლები და ქულები. ქალისათვის ერთ-ერთი უძვირფასესი ჯილდო, ცხადია, შეჯიბრების უმშვენიერესი მონაწილის სახელია — სწორედ „მის სპარტაკიადად“ დაასახელეს ირინე მოსკოვში, 1979 წელს...

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ, უეჭველია, ბევრ გულშემატკივარს ახლაც ემახსოვრება ირინე გაბაშვილის ასპარეზობა.

უჩვეულოდ დაიწყო მისი სპორტული ბიოგრაფია. მხატვრული ტანვარჯიშის პირობაზე, როგორც ტანმოვარჯიშეები თვლიან, ირინე დაგვიანებით შეუდგა ვარჯიშს — 11 წლის ასაკში. მაგრამ მონდომება ბევრს შეაძლებინებს ადამიანს, მით უმეტეს, თუკი ბუნებრივი ნიჭიც მოსდევს...

— 1978 წელს დნეპროძერჟინსკში ვიყავით საკავშირო ტურნირზე, — იხსენებს ირინე. — მორიგი მოთეულის შემდეგ ჩემთან ერთი გულშემატკივარი მოვიდა, ავტოგრაფი მთხოვა ასეთი სიტყვებით: „მე გავხდები მსოფლიო ჩემპიონი“. რა თქმა უნდა, შორს დავიპრიე, ის ადამიანი კი მარწმუნებდა ამ სიტყვების საფუძვლიანობაში. მოგვიანებით მისი წერილიც მივიღე. „ხომ გამართლდა ჩემი სიტყვები“ — მწერდა. მეორე შემთხვევაც მახსოვს: 1979 წლის აპრილში ბრიუსელის ცენტრში დავინახე მადონას ქანდაკება, რომელთანაც ხალხი მიდიოდა და ხელზე უსვამდა ხელს. მე დავინტერესდი და თარჯიმანმა ამიხსნა: ვინც რაიმეს ჩაიფიქრებს და ხელს შეახებს მადონას, სურვილი აუცილებლად აუსრულდებაო. მეც ჩავიფიქრე და... ივლისში მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. ყველა ამ გარემოებას შემდეგა მივანიჭე მნიშვნელობა.

● იქნებ კიდევ ერთხელ გაიხსენოთ, როგორ მოხვედით სპორტში, კერძოდ, მხატვრულ ტანვარჯიშში?

— მეზობლებს, რომლებთანაც ძალზე დაახლოებულნი ვიყავით, ჩემი ტოლი გოგო, ელა ჰყავდათ, სადაც მიდიოდნენ, კინოში თუ თეატრში, თითქმის ყველგან დავყვებოდი. ერთხელაც კინოში წავედით, მახსოვს, „მაზანდარელი ვეფხვი“ უნდა გვენახა. ფილმის დაწყებამდე მე და ელამ ფოიეში შევამჩნიეთ, რომ უკან ვიღაც ქალი დაგვყვებოდა. მან თითით მანიშნა, მოდი ჩემთანო. ელამ მითხრა: „არ მიხვიდე, რა იცი, ვინ არისო“. ის ქალი ბოლოს თვითონ მოვიდა, ჩვენი ტელეფონის ნომერი ჩაიწერა. მეორე დღეს დაგვირეკა. თურმე ნელი სალაძე ყოფილა. ასე შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. მშობლებმა წამიყვანეს მასთან, უნივერსიტეტის სპორტდარბაზში, რომელშიც ახლა თავად ვმუშაობ.

● პირველი უველაფერი განსაკუთრებულია. მოდით, გაიხსენოთ თქვენი პირველი წარმატება.

— 1974 წელს თბილისში საკავშირო უნივერსიადა გაიმართა. ამ ასპარეზობაში მეც მივიღე მონაწილეობა, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტკლუბის წევრმა და გავიმარჯვე კიდეც. შემდეგ ქუთაისში საქართველოს ჩემპიონი გავხდი.

● კიდევ რას გაიხსენებდით განსაკუთრებულს განვლილი წლებიდან?

— რომელი ერთი ჩამოვთვალო: 1976 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, რომელიც ასევე თბილისში ტარდებოდა, 80 მონაწილეს შორის მე-12 ადგილი დავიკავე. ეს უკვე წარმატება იყო, საკავშირო ნაკრების მწვრთნელმა ვალენტინა ბატაენმა პირდაპირ განაცხადა: „გაბაშვილი ამყავს გუნდში მესამე ნომრად ირინა დერიუგინას და გალიმა შუგუროვას შემდეგ“... 1977 წელს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი, წავედი კიდეც, ოღონდ სათადარიგოდ. 1979 წელს კვლავ დაძაბულად ვემზადებოდი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და თბილისს გათამაშება გველოდა ტომსკში. აქ მოხდა მეტად უსიამოვნო შემთხვევა. წითელი ბურთით გამოვდიოდი. ვარჯიშის დროს შევამჩნიე, რომ ბურთი არ ხტებოდა და ასეთ რთულ პირობებში მომიხდა ვარჯიშის დამთავრება. გამოირკვა, რომ ვიღაცამ ვარჯიშის დაწყებამდე ბურთი გამიჭრა. დღესაც არ ვიცი, ვინ გააკეთა ეს. სახტუნელაც მომპარეს და ნათხოვრით მომიხდა გამოსვლა. ლონდონში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ექვსი დღით ადრე ჩავედით, ლალი დოლიძეს ჯგუფურ ვარჯიშში უნდა მიეღო მონაწილეობა, მე — პირადში. ძალიან ვღელავდით, დაძაბულად ვვარჯიშობდით, მაგრამ ნელი სალაძე მაინც უკმაყოფილო იყო, სულ იმას გვეუბნებოდა — ყველაზე ცუდად თქვენ ხართ მომზადებულნიო...

აქ ცოტა ხნით შევწყვეტთ საუბარს და გავიხსენებთ, თუ რას წერდა მაშინ გაზეთი „ლელო“:

„ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს, როდესაც გათამაშდა ჯილდოები ცალკეულ სახეობებში, ირინე გაბაშვილი საუკეთესო იყო ბურთით ვარჯიშში. 19,45 ქულით შეაფასეს მსაჯებმა მისი დიდებული კომპოზიცია. როგორც საბჭოთა კავშირის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ელენა ბისტრიცკაიამ აღნიშნა, გაბაშვილის გამოსვლა წააგავდა სიმღერას, სადაც წამყვანი პარტია ჩინებულად მიმყავდა მოწიფულ, ჩამოყალიბებულ ოსტატს“...

— ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ, — განაგრძობს ირინე, — ბევრ შეჯიბრებაში გამოვედი, მათ შორის ხალხთა სპარტაკიადაზეც. სამწუხაროდ, შეუძლოდ გავხდი და, ფაქტობრივად, ორი კვირის უვარჯიშებელს მომიხდა ასპარეზობა; არადა, ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ შემეძლო აბსოლუტური ჩემპიონი გავმხდარიყავი.

ცოტა მოგვიანებით მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ტურნირში „სოვეტსკაია ჟენშინას“ პრიზზე. ორგანიზატორებს ძალიან სურდათ, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს — ირინა დევინას გაემარჯვა, მაგრამ იგი ბოლო სახეობაში ჩამომრჩა და მრავალეიდში მე დავიკავე პირველი ადგილი. ტოკიოში ვიყავი, „ძმების თასის“ გათამაშებაში. ამ შეჯიბრების პროგრამაში ბურთით ვარჯიში არ იყო, მაგრამ მასპინძლებმა მთხოვეს ბურთით გამოვსულიყავი. **(შემდეგ იაპონიაში გამოიცა ფოტოალბომი, სადაც გარეკანის პირველ გვერდზე სწორედ ირინე გაბაშვილია აღბეჭდილი ბურთით ვარჯიშის დროს. გ. ბ.).**

ჩემი ნაკრებში ყოფნის დროს, პირველად მხატვრული ტანვარჯიშის ისტორიაში, მოხდა მეტად საინტერესო შემთხვევა: საკავშირო ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა კაცი, ვიქტორ კლიმენკო. მისი პრეტენზიების გამო არ გამიშვეს მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც დევინა წაიყვანეს. თუმცა საბოლოოდ იქ მას არც უასპარეზია.

1983 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე პირველი ადგილი, რომ იტყვიან, წამართვეს. შემდეგ ასე ამიხსნეს: შენ მაინც არ მიდიხარ მსოფლიო ჩემპიონატზე, ამიტომ პირველი ადგილი რომ დაიკავო, მსოფლიო ჩემპიონატზე კი კუტკაიტე წავიდეს, უხერხული იქნებაო. ესეც კლიმენკოს ოინი იყო. იმავე წელს ინგლისიდან მომივიდა შეტყობინება — საჩვენებელ გამოსვლებში მიწვევდნენ. კლიმენკომ კვლავ ამომიღო სიიდან. ინგლისელები მიზეზით დაინტერესდნენ, მან კი ჩემი ავადმყოფობა მოიმიზეზა. ინგლისიდან შემოუთვალეს, ჩვენ გაბაშვილი ვნახეთ სპარტაკიადაზე, ამიტომ ან ჩამოხვალთ იმ შემადგენლობით, რომელიც ჩვენ გვინდა, ან არადა, შეგიძლიათ არ ჩამოხვიდეთო. საბოლოოდ კლიმენკო იძულებული გახდა წავეყვანე. **(ვ. კლიმენკო გაათავისუფლეს საკავშირო ნაკრების მწვრთნელობიდან ამორალური საქციელისთვის. გ. ბ.).**

● ბევრ სპორტსმენთან გქონიათ ურთიერთობა. ვისთან მეგობრობდით და მეგობრობთ?

— საქართველოს ნაკრებში ირინა ელემჩუკინასთან ვმეგობრობდი, ერთმანეთს ვეხმარებოდით. სამწუხაროდ, ახლა ისე ხშირად ვეღარ ვხვდებით ერთმანეთს. საკავშირო ნაკრებში ელენე ტომასს და ირინე დერიუგინას დავუახლოვდი. ელენე ტომასთან შეჯიბრების დროს ყოველთვის ერთ ოთახში ვიყავი.

● ყველაზე მეტად რამ გაგახარათ და რამ დაგწყვიტათ გული თქვენი სპორტული კარიერის მანძილზე?

— სასიხარულო, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება იყო. საერთოდ, ბედმა გამიღიმა, რომ შევხვედი ნელი სალაძეს. ხომ შეიძლებოდა მაშინ არ წავსულიყავი კინოში? 1983 წელს რომ არ დავეჩაგრეთ, ვფიქრობ, გავაგრძელებდი გამოსვლებს და კიდევ რაღაცას მივაღწევდი.

● თქვენ ახლა ბავშვებს ავარჯიშებთ უნივერსიტეტის დარბაზში, სადაც თქვენ თვითონ „აიდგით ფეხი“. როგორ დაიწყეთ მწვრთნელად მუშაობა, გიჩჩიათ ვინმემ?

— არა, არავის ურჩევია, ჩემით გადავწყვიტე. მე ძალიან მომწონს ჩემი სამუშაო. შეიძლება ვერ გავზარდო დიდი სპორტსმენები, მაგრამ ვცდილობ შევაყვარო ბავშვებს მხატვრული ტანვარჯიში.

ესაუბრა ბია ბურდული

დამოუკიდებელი სპორტული კონტაქტები

ჩვენი ყარიბნი — „რაგბის მეჭაჟი“

ვინ არ იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა სპორტსმენის ზრდისთვის სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებთან ურთიერთობა. ცხადია, ჩვენი მორაგბეებისთვისაც აუცილებელია ხაზღვარგარეთელ „კოლეგებთან“ კონტაქტი, მაგრამ მოგეხსენებათ, ადრე ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, რადგან ცენტრის „ჩინოვნიკური აპარატი“ ყოველნაირად ზღუდავდა და ჩაგრავდა განურჩევლად ყველა სახეობის წარმომადგენლებს, მათ შორის, მორაგბეებსაც.

ამჟამად მდგომარეობა სახიკეთოდ შეიცვალა. დღეს ცენტრის დაუკითხავადაც შეიძლება „წასვლა-წამოსვლა“ და ჩვენს მორაგბეებსაც „აეხილათ თვალი“. ბავშვთა რამდენიმე გუნდი უკვე იყო იტალიასა და ბულგარეთში, ხოლო თბილისის განათლების სამმართველოს რაგბისა და კეტბურთის სპორტსკოლის სარაგბო გუნდს „მართვეს“ ორმაგად გაუმართლა. მართლაც ძნელია გადმოსცე 15-16 წლის მორაგბის განცდები, რომელიც თავისი სათაყვანებელი თამაშის სამშობლოს ყველაზე „სარაგბო“ ნაწილში — უელსში ჩადის და იქაურ მოთამაშეებს ხვდება.

„მართვეს“ ტურნეს შესახებ გვესაუბრება გუნდის მწვრთნელი ნიაზ მამრიკაშვილი:

— უელსში ქალაქ რისქას სკოლის მიწვევით და საქართველოს რაგბის კავშირის ხელშეწყობით აღმოვჩნდით. რისქა უელსის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და მისი სკოლაც არ გახლავთ საშეულებრივი. საქმე ის არის, რომ მისი დაარსების დღეს რისქას ეწვია ბრიტანეთის დედოფალი და პირადად მან მიიღო მონაწილეობა სკოლის ბახსნის საზეიმო ცერემონიალში. დღეისათვის სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა ბრიტანეთში და, ცხადია, საუცხოო მატერიალური ბაზა აქვს. მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს სტუმრების მიღება. ჩვენს გარდა მას ეწვივნენ ახალზელანდიელი, იტალიელი და ფრანგი ჭაბუკი მორაგბეები და ჩვენთვის დიდი პატივი გახლდათ ასეთ საპატიო კომპანიაში ყოფნა.

უელსელთათვის რაგბი მარტო სპორტის სახეობა არ არის. იგი მათი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და მასთან დამოკიდებულებაც განსაკუთრებულია. ასე რომ, ჩვენს ბიჭებს მეტად საპასუხისმგებლო მისია დაეკისრათ: ასეთი დიდი ტრადიციების მქონე სარაგბო ქვეყანაში ღირსეულად უნდა წარმოეჩინათ ქართული რაგბის სახე. აღსანიშნავია, რომ „მართვე“ იყო პირველი ქართული გუნდი, რომელიც უელსს ეწვია.

რისქას სკოლას რამდენიმე სარაგბო გუნდი ჰყავს და პირველ მატჩშიც მათგან შედგენილ ნაკრებთან ვითამაშეთ. მასპინძელთა გუნდი ჩვენს გუნდზე ერთი-ორი წლით „უფროსი“ იყო და ეს სხვაობა, ბუნებრივია, თამაშშიაც შეიმჩნეოდა. მიუხედავად თავდადებული თამაშისა, მაინც დავმარცხდით.

ბედმა არც მეორე შეხვედრაში გაგვიღიმა — დასანანი შეცდომის გამო ბოლო წუთებზე დავმარცხდით ინგლისის სარაგბო კლუბის „ბლექფულის“ ჭაბუკთა გუნდთან, ხოლო საბოლოო მატჩში მთელი ღონე მოვიკრიბეთ და იოლად გავუსწორდით უელსის კლუბის „სენტ-დევიდის“ ხანატოლებს.

ამ შეხვედრებში ნათლად გამოჩნდა სხვაობა ჩვენსა და უელსურ რაგბის შორის. თუ ჩვენი ბიჭები უფრო ინდივიდუალურ თამაშს ამჯობინებდნენ, მასპინძლები კოლექტიურ, მთელი გუნდით მოქმედებას ანიჭებდნენ უპირატესობას და ამით ბევრ თავსატეხსაც გვიქმნიდნენ. ამის საფუძველი ბავშვის რაგბისთან დამოკიდებულებაში ძევს. ეს არცაა გასაკვირი, ბრიტანეთში ხომ მორაგბის აღზრდა 7-8 წლის ასაკიდან იწყება. იქ ბავშვს ვარჯიშის ყველაზაირი პირობა აქვს შექმნილი — დაწყებული სათამაშო ფორმით, დამთავრებული სტადიონით. ყველაფერ ამაზე კლუბი ზრუნავს და მორაგბეს ბავშვობიდანვე უმუშავდება კლუბის ღირსების გრძნობა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. სამივე თამაშის შემდეგ გამართულ მეგობრულ შეხვედრებზე მოთამაშეებთან მოდიოდნენ კლუბის ხელმძღვანელები, საპატიო წევრები და ის მორაგბეები, რომლებიც ადრე იცავდნენ კლუბის ღირსებას. მათი საუბრები, რჩევა-დარიგებები გამოცდილებას ძენს ახალგაზრდა მორაგბეს. ძალიან კარგი იქნება, თუ მსგავს ტრადიციას ჩვენთანაც დავამკვიდრებთ.

ცალკე საუბრის თემაა უელსის სტადიონები. რისქელებს 4 სარაგბო მოედანი ჰქონდათ, ქალაქიდან ქალაქში მგზავრობისას გზაზე გვხვდებოდა სპორტული კომპლექსები, სადაც რაგბის, გოლფის, ფეხბურთის რამდენიმე მოედანი იყო. ყველაზე მეტად კი ერთმა ფაქტმა გაგვაოცა: ერთ-ერთ პატარა სოფელში, სადაც რამდენიმე სახლი იდგა, ორი წმინდა სარაგბო მოედანი იყო. ბიჭებმა იკითხეს კიდეც, ეს მოედნები რა საჭიროაო. მაგრამ, აბა გენახათ: არც ერთ მოედანს ერთი წუთითაც არ ჰქონდა „მოსვენება“, მასზე გამუდმებით ვარჯიშობდნენ სხვადასხვა გუნდების და ასაკის მორაგბეები. ამის მნახველს მახსენდებოდა ჩვენი სტადიონები, რომლებზეც ერთდროულად რამდენიმე გუნდი ვარჯიშობს და ხეირიანად გაქცევის საშუალებაც არ არის.

რისქელებმა ბევრი რამ დაგვათვალიერებინეს. ვიყავით ლონდონშიც, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მსოფლიო რაგბის „მექამ“ — კარდიფის „არმზ ფარქსის“ სტადიონმა მოახდინა. აქ ჩვენ დავესწარით უელსის ჩემპიონატის მატჩს და იქვე უელსის რაგბის ისტორიის მუზეუმიც დავათვალიერეთ. ექსპონატების ხილვისას თვალწინ გადაგეშლება არა მარტო უელსის, არამედ მსოფლიო რაგბის ისტორია დასაბამიდან დღემდე.

ცოტა რამ არასპორტულ თემაზეც. ყველა ქალაქში ყოფნისას ვხვდებოდით ადგილობრივ მცხოვრებლებს და, როგორც წესი, გვიღებდნენ ქალაქების მერები. შეძლებისდაგვარად ბევრს ვყვებოდით ჩვენი ქვეყნის შესახებ და ცდილობდით, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა საქართველოსა და მის ღღევანდელ მდგომარეობაზე.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს სპონსორს, განათლების სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს და მის უფროსს, ყოფილ მორაგბეს ნუგზარ ბეგიანიშვილს, რომელმაც სათანადო თანხით უზრუნველყო ჩვენი გამგზავრება.

ერთი სიტყვით, კიდევ ერთ ქვეყანას გავაცანით ქართული რაგბი. რაც მთავარია, დამეგობრდნენ ორი ქვეყნის ბავშვები. ჩვენ ხომ უელსელთა ოჯახებში ვცხოვრობდით და ეს დაახლოების საუკეთესო საშუალებაა.

ჩვენი ურთიერთობა ამით არ შეწყვეტილა. გაისად აპრილში უელსელი მორაგბეები საქართველოში ჩამოვლენ და ვეცდებით ღირსეულად ვუმასპინძლოთ მათ.

ესაუბრა მერაბ რატიშვილი

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე ეტაპის შეხვედრები.

საყოველთაო ინტერესს იწვევდა ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი იტალიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ნაპოლისა“ და სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. იტალიელებმა აშკარად ვერ გაამართლეს თავიანთ გულშემატკივართა იმედები — ისინი მთელი თამაშის განმავლობაში უტევდნენ; სტატისტიკოსებმა აღნიშნეს მათი 24 დარტყმა მეტოქის კარში, რომელთაგან ბურთი სამჯერ მოხვდა ძელს, მაგრამ კარში ვერ გავიდა. მატჩის დასასრულს სპარტაკელებმა შეძლეს რამდენიმე კონტრშეტევის განხორციელება, მათაც ორჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს. 90-მა წუთმა განვლო და ანგარიში არ გახსნილა — 0:0. „ნაპოლის“ მწვრთნელი ალბერტო ბიგონი და წამყვანი ფეხბურთელი დიეგო მარადონა აღნიშნავენ, რომ ნეაპოლელებს მთელი თავიანთი ძალების მობილიზება დასჭირდებათ საპასუხო მატჩში.

თასების მფლობელთა თასზე კიევის დინამოელებმა შინ პრაღის „დუკლასთან“ შეხვედრაში, მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მიაღწიეს წარმატებას — 1:0, რაც, რა თქმა უნდა, საიმედო გარანტია ვერაა საპასუხო თამაშის წინ.

უეფა-ს თასზე ოდესის „ჩერნომორეცმა“ ფრედ დაამთავრა თამაში საფრანგეთის „მონაკოსთან“ — 0:0, ეს შედეგი სავსებით აძლევს ხელს საფრანგეთის ფეხბურთელებს.

ერთადერთი საბჭოთა გუნდებიდან, რომელსაც მეტ-ნაკლებად საიმედო შედეგი აქვს, არის მოსკოვის „ტორპედო“. მან გაიმარჯვა ესპანეთის „სევილიასთან“ — 3:1.

ამ დღეს აღინიშნა რამდენიმე ფრიად მოულოდნელი შედეგი: ჩემპიონთა თასზე იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდამ“ ანგარიშით 3:0 მოუგო შოტლანდიის განთქმულ „გლაზგო რეინჯერსს“; თასების მფლობელთა თასზე საფრანგეთის „მონპელიემ“ დაამარცხა რუმინეთის „სტიაუა“ — 5:0; უეფა-ს თასზე პორტუგალიის „სპორტინგმა“ მოუგო რუმინეთის „პოლიტეხნიკას“ — 7:0; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კიოლნმა“ საკუთარ მინდორზე წააგო ჩეხოსლოვაკიის „ინტერთან“ — 0:1.

სამივე გათამაშების საპასუხო მატჩები გაიმართება 6, 7 და 8 ნოემბერს.

გთავაზობთ 24 ოქტომბერს ჩატარებული მატჩების შედეგებს სამივე გათამაშებაში:

ჩემპიონთა თასი
მერვედფინალი
პირველი ტური

„ნაპოლი“ (ნეაპოლი, იტალია) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:0;

„ბაიერნი“ (გფრ) — „ცსკა სოფია“ (ბულგარეთი) 4:0;

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 3:0;

„დინამო“ (დრეზდენი, გფრ) — „მალმიო“ (შვეცია) 1:1;

„მილანი“ (იტალია) — „ბრიუგე“ (ბელგია) 0:0;

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „სვაროვსკი-ტიროლი“ (ავსტრია) 9:1;

„დინამო“ (რუმინეთი) — „პორტო“ (პორტუგალია) 0:0.

თასების მფლობელთა თასი
მერვედფინალი
პირველი ტური

„დინამო“ (კიევი) — „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 1:0;

„ფრამი“ (ისლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 1:2;

„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „რენჯერსი“ (უელსი) 3:0;

„ლიეჟი“ (ბელგია) — „ეშტრელა“ (პორტუგალია) 2:0;

„აბერდინი“ (შოტლანდია) — „ლეგია“ (პოლონეთი) 0:0;

„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „იუვენტუსი“ (იტალია) 0:4;

„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „სამპდორია“ (იტალია) 0:1;

„მონპელიე“ (საფრანგეთი) — „სტიაუა“ (რუმინეთი) 5:0.

უეფა-ს თასი
მეთექვსმეტედფინალი
პირველი ტური

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 0:0;

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „სევილია“ (სევილია, ესპანეთი) 3:1;

„მაგდებურგი“ (გფრ) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 0:1;

„უნივერსიტატია“ (რუმინეთი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) 0:3;

გკს (პოლონეთი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ) 1:2;

„ომონია“ (კიპროსი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 1:1;

„ბრონდბიუ“ (დანია) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) 3:0;

„რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) 1:0;

„ჰარლემი“ (შოტლანდია) — „ბოლონია“ (იტალია) 3:1;

„ასტონ ვილა“ (ინგლისი) — „ინტერი“ (იტალია) 2:0;

„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ატალანტა“ (იტალია) 0:1;

„ლიუცერნი“ (შვეიცარია) — „ადმირა-ვაკერი“ (ავსტრია) 0:1;

„კიოლნი“ (გფრ) — „ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია) 0:1;

„ვიტესი“ (ჰოლანდია) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 1:0;

„ვალენსია“ (ესპანეთი) — „რომა“ (იტალია) 1:1;

„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „პოლიტეხნიკა“ (რუმინეთი) 7:0.

მოჭადრაკეები გარბიან, რაზეზე

ახლახან საერთაშორისო დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი ლევ ფსახისი ისრაელში გაემგზავრა საცხოვრებლად. ახლა იგი იმიგრანტია თუ ემიგრანტი, მნიშვნელობა არა აქვს. ან კი, ამაში რა სხვაობაა?

ფსახისი ოფიციალურად გაემგზავრა, სერიოზული კონფლიქტი არავისთან არ ჰქონია, არავისთვის წაუყენებია ეკონომიკური, პოლიტიკური ან რელიგიური პრეტენზიები. პროფესორი შშობლებისაგან უზრუნველყოფილს შორეული კრასნოიარსკიდან თავადაც ხშირად შეეძლო სხვადასხვა ქვეყანაში წასვლა, ბევრის ნახვა, იქ გამართულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით საკმაო შემოსავლის მიღება. მეორე მხრივ, ასეთი შესაძლებლობები მას არცთუ ისე დიდი ხნის წინ მიეცა, რადგან ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ვიღაც უჩინმაჩინისაგან დადებულ ფეხს გვერდს ვერ უვლიდა. ფიცხი ხასიათის ყმაწვილმა ამგვარი წყენა ვერ დაივიწყა, გულში ჩაიხვია.

ისე, იყო სხვა მიზეზებიც, თუნდაც ეროვნული საკითხი. მოსკოვში ჩასვლისას ფსახისი მეგობრებს შესჩიოდა: „თქვენ რა გიჭირთ, ერთმანეთს უჭერთ მხარს, თანაც ყველა როდი გიტევთ, მე კი ციმბირში თავს მარტოხელად ვგრძნობ, ვიღაცას შეუძლია მითხრას, რომ მე მხოლოდ რუსულ ენაზე მოლაპარაკე ვარ“...

ახლახან ყოველკვირეულ გამოცემა „კომერსანტში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ლევ ფსახისმა ისრაელის ჭადრაკის ფედერაციის საჭელით წინადადება წამოაყენა „მეგობრობის მატჩის“ ჩატარების თაობაზე საბჭოთა კავშირისა და ამ ქვეყნიდან სხვადასხვა დროს წასულ მოჭადრაკეთა შორის. „უცხოელთა“ სია, რომლებიც მატჩში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ, ერთობ შთამბეჭდავია: საერთაშორისო დიდოსტატები, მსოფლიო ექსჩემპიონი ბორის სპასკი (საფრანგეთი), ჩემპიონის გვირგვინის მრავალგზის პრეტენდენტი ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), გენადი სოსონკო (ნიდერლანდები), ბორის გულკო, ლევ ალბურტი, რომან ჯინჯიხაშვილი, დიმიტრი გურევიჩი, ანატოლი ლეონი, ლეონიდ შამკოვიჩი (ყველა — ამერიკის შეერთებული შტატები), იგორ ივანოვი (კანადა), ლევ გუტმანი, იაკობ მურეი, ვლადიმერ ლიბერზონი (ყველა — ისრაელი), ალექსანდრე ივანოვი და ჭაბუკი გატა კამსკი (ორივე — აშშ), გიორგი კაიმაური (შვეიცია) და იოსებ ქასაშვილი (ისრაელი). ყველა ისინი მოქმედი პროფესიონალები არიან.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მოჭადრაკე ქალები. ალა კუშნირი ერთ-ერთი პირველი გაემგზავრა უცხოეთში და თავი მიანება თამაშს. მალე იგი არქეოლოგიის დოქტორი გახდა. ისრაელში დამკვიდრდა (მეუღლესთან ერთად) საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მონაწილე, ახლა კი ისრაელის ნაკრების წევრი ლუბოვ კრისტოლი.

ტატიანა ლემაჩკომ ჯერ ბულგარეთის მოქალაქეობა მიიღო, შემდეგ კი დასავლეთში დარჩა. მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბულგარეთში გათხოვდა და იქაურ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ცხადია, ყოველთვის საუკეთესო ფორმაში არ იყო. „უცხოელთა“ გუნდს ფრიად მოაღონიერებენ ელენა ახმილოვსკაია და ანა ახშარუმოვა.

რა არის მიზეზი ამდენი საბჭოთა მოჭადრაკის სამშობლოდან გამგზავრებისა? ყველაზე ხშირად „მესამე ტალღის“ მოჭადრაკეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მკაცრად შეზღუდვის გამო. მათი მტკიცებით, ეს ამუხრუჭებდა მათს სპორტულ დაოსტატებას, ჩრდილი ადებდა საკარიერო მიღწევებს, აყენებდა მორალურ (ასევე მატერიალურ) ზარალს. როგორც ბორის სპასკი ამბობს, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლების მისაღებად მოჭადრაკეებს ერთმანეთი „ნიანგებივით უნდა გადაეყლაპათ“ შინაურ შეჯიბრებებში.

1989 წელს ნიუ-იორკის ღია პირველობაში მონაწილეობისათვის აშშ-ს პერსონალური მიწვევით გაემგზავრნენ კამსკები. მამას, რუსტემს არასდროს უთამაშია ჭადრაკი, თხუთმეტი წლის გატას კი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჭაბუკმა ურიგოდ როდი ითამაშა — საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა. შვილის ბედნიერებით დაინტერესებულმა მამამ პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთ. საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელებს რუსტემმა პოლიციის უბნიდან ტელეფონით შეატყობინა თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

აქ ბევრი სხვა მოჭადრაკის გვარის დასახელებაც შეიძლება, ალბათ დროა, ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებმა ყურადღება მიაპყრონ ამ მტკივნეულ საკითხს. უცხოეთის ქვეყნებში სულ უფრო ხშირად გაისმის რუსულად ნათქვამი სიტყვები: „ჰა, ნაზე როგორ ვითამაშე!“ სხვადასხვა ტურნირში არც თუ ი შვიათად შეხვდებით საბჭოთა საჭადრაკო სკოლების ნორჩ აღსაზრდელებს, რომლებიც თავგამოდებით იბრძვიან გამარჯვებისათვის. ეს ბავშვები შშობლებმა მუდმივ საცხოვრებლად წაიყვანეს საზღვარგარეთ, ვინაიდან შვილებისათვის მხოლოდ კარგი მომავალი, უზრუნველყოფილი და მშვიდი ცხოვრება სწადიათ.

მოამზადა ბელა ჯილაურმა

ამერიკელი განგსტერი ალ კაპონე ხშირად ამბობდა: „თუ ფულის შოვნა გინდათ, ჩოგანს მოჰკიდეთ ხელი“. მაგრამ დღევანდელი ჩოგბურთელის შემოსავალი, ალბათ, მასაც გააკვირვებდა.

უიმბლდონის ბოლო ჩემპიონატის საპრიზო ფონდი რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენდა. ვაჟთა ერთეულებში გამარჯვებულისთვის დაწესებული იყო 397 ათასი დოლარი. ქალებისათვის კი — 358 ათასი.

ფულის ღელე ნამდვილ მდინარედ გადაიქცა, სპონსორების მიერ გაღებული ფინანსური პრიზებით და ხელშეკრულებებით ჩემპიონები მილიონერები ხდებიან, ხოლო საერთაშორისო აღიარების აცდენილი მოთამაშეები — საკმაოდ მდიდრები.

1968 წელს უიმბლდონის ჩემპიონატზე ერთეულთა თანრიგში ვაჟებისათვის პრიზად 3 ათას 460 დოლარი იყო დაწესებული, ხოლო საერთო საპრიზო ფონდი 44 ათას დოლარს შეადგენდა. იმ წლის გამარჯვებულს, ავსტრალიელ როდ ლეივერს ამ ფულით „რენოს“ მარკის ორი ავტომობილის ყიდვა შეეძლო. მომდევნო წელს, როცა კვლავ ლეივერმა გაიმარჯვა, წინანდელთან შედარებით ჯილდოდ ერთნახევარჯერ მეტი თანხა მიიღო.

რამდენიმე წლის შემდეგ პრიზის ოდენობამ თითქმის ორჯერ მოიმატა და 72 ათას დოლარს მიაღწია. მაგრამ მაშინდელ ფავორიტს, ამერიკელ ჯიმი კონორსს, ეს თანხა მაინც არ ეყოფოდა „როლს-როისის“ შესაძენად (თუკი ამას მოისურვებდა).

1984 წელს ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ 173 ათასი დოლარი მიიღო, ხოლო საერთო საპრიზო ფონდმა პირველად გადააჭარბა სამ მილიონს. 1988 წელს ფონდი ოთხ მილიონი, შარშან კი ხუთი მილიონი დოლარი იყო. „მე ძალზე ადრე დავიბადე“ — უთქვამს გულდაწყვეტილ როდ ლეივერს.

ოქროს ჩოგანი

წლეულს უიმბლდონის ტურნირში გაიმარჯვა შვედმა სტეფან ედბერგმა, რომელსაც მიღებული ჯილდოთი თავისუფლად შეუძლია შეიძინოს 210 ათას დოლარად ღირებული ორი „როლს-როისი“.

I ლიგა

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე გამოვლინდა ერთ-ერთი გუნდი, რომელმაც დარჩენილი თამაშების შედეგების მიუხედავად 1991 წლისთვის უკვე გაიღოდა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება. ესაა ვლადიკავკაზის „სპარტაკი“.

ახლა, როცა I ლიგის საკავშირო ტურნირის დამთავრებას 2 ტური აკლია, ცნობილი გახდა კიდევ ორი გუნდი, რომელიც გაისად უმაღლეს ლიგაში გამოვა. ესენია ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ და ტაშკენტის „ფახთაჭორი“. ამ გუნდებიდან ტაშკენტელებს არაერთხელ უთამაშიათ უმაღლეს ლიგაში, რაც შეეხება ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, იგი პირველად იასპარეზებს უძლიერესთა შორის.

შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში მოხვედრის შანსი აქვს I ლიგის კიდევ ერთ გუნდს, რომელიც გათამაშებაში IV ადგილს დაიკავებს. ეს კოლექტივი ტურნირის დამთავრებისას გაირკვევა, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლების მოსაპოვებლად იგი ორ გადასასვლელ მატჩში უნდა შეხვდეს ვოლგოგრადის „როტორს“.

კვლავ იტალიაში

8 ნოემბერს რომში დანიშნულია 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში იტალიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. სსრ კავშირის ნაკრები 28 ოქტომბერს გაემგზავრება იტალიას. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ა. ბიშოვეცმა ნაკრების კანდიდატებს თავი მოუყარა ნოვოგორსკის ბაზაზე. კანდიდატთა შორის არიან: მეკარეები — უვაროვი („დინამო“, მოსკოვი), ჩერჩესოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), მინდვრის მოთამაშეები — კულკოვი, შალიმოვი, მოსტოვოი („სპარტაკი“ მოსკოვი), ჩერნიშოვი, კოლივანოვი, კირიაკოვი, დობროვოლსკი („დინამო“, მოსკოვი), ცვეიბა, ლიტოვჩენკო, იუსანი („დინამო“, კიევი), დ. კუზნეცოვი. ტატარჩუკი (ცსკა), ტიშჩენკო („დნეპრი“), კანჩელსკისი („შახტიორი“), გეცკო („ჩერნომორეცი“). იტალიაში ნაკრებს შეუერთდებიან უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელები: ალეინიკოვი („ლეჩე“, იტალია), მიხაილიჩენკო („სამპდორია“, იტალია), გორლუკოვიჩი („ბორუსია“, დორტმუნდი, გფრ), ჩერედნიკი („საუთჰემპტონი“, ინგლისი), პროტასოვი („ოლიმპიაკოსი“, საბერძნეთი).

შეგახსენებთ მდგომარეობას ევროპის III შესარჩევ ჯგუფში: სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებს 2-2 ქულა აქვთ (ამასთან, საბჭოთა ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთი თამაში ჩაატარეს), იტალიელებსა და ნორვეგიელებს კი — თითო (იტალიელებმაც ერთი მატჩი გამართეს).



● **რომი.** იტალიის კლუბმა „ჩეზენამ“ შეიძინა ბრაზილიის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი პაულუ სილაში, რომელიც მანამდე მონტევიდეოს „ესპანიოლში“ გამოდიოდა.

● **კიოლნი.** გერმანიის მეორე დივიზიონის კლუბმა კიოლნის „ფორტუნამ“ გამოაცხადა, რომ კონტრაქტი დადო 22 წლის ეგვიპტელ ფეხბურთელთან — აბდელ ოსმანთან.

● **ბერნი.** უეფა-ს აღმასკომის განცხადებით, იტალიის ცნობილი კლუბის „რომას“ ფეხბურთელებს ანდრეა კარნევალეს და ანჯელო პერუჯის აეკრძალათ თამაში იმის გამო, რომ ისინი ამხილეს სადოპინგო პრეპარატების მიღებაში. იტალიის საფეხბურთო ფედერაციამ ორივე ამ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მისცა თითო წლით.

სეული. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის გაერთიანების ნიშნით აქ გაიმართა ამხანაგური საპასუხო მატჩი ფეხბურთში სამხრეთ კორეისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს შორის. პირველი მატჩი ფხენიანში მოიგო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა — 2:1, ამჯერად წარმატებას მიაღწია სამხრეთ კორეის გუნდმა — 1:0.

● **ლონდონი.** ინგლისის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „ტოტენჰემი“, რომლის შემადგენლობაში გამოდიან მსოფლიო ფეხბურთის ფსეუდო ვარსკვლავები, როგორიც არიან ჰარი ლინეკერი და პოლ გესკოინი, სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. ლონდონის ბირჟაზე შეწყდა „ტოტენჰემის“ აქციების გაყიდვა, ხოლო ბირჟის წარმომადგენელმა გუნდის ხელმძღვანელობას მოსთხოვა კლუბის საფინანსო მდგომარეობის დეტალური ახსნა-განმარტებითი ანგარიში.

მანჩესტერის ერთ-ერთმა სპორტულმა ფირმამ უკვე გამოთქვა სურვილი, მხარში ამოუდგეს „ტოტენჰემს“, რომელსაც ახლა მესამე ადგილი უკავია ინგლისის ჩემპიონატში და მის სალაროში 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეიტანოს. გარდა ამისა, კლუბს ალბათ მოუწევს რამდენიმე მოთამაშის გაყიდვა.

● **ბრიუსელი.** ბელგიის „მეჰელენის“ თავდამსხმელი პასკალ დე ვილდე საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა და, ექიმების აზრით, კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება. მანქანა, რომლითაც პ. დე ვილდე ბრიუგეში მიეშგზავრებოდა ადგილობრივ გუნდთან სათამაშოდ, შეეჯახა საპირისპირო მხრიდან მომავალ ავტომობილს. ავარიამ იმსხვერპლა შემხვედრი მანქანის მძღოლი და ერთი მგზავრი.

ბოლომდე უერთგულა

დავით დავითაიას სახელი კარგადაა ცნობილი ქართველი რაგბის მოყვარულთათვის. თბილისის „ლოკომოტივის“, შემდეგ კი „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და მოგვიანებით მწვრთნელი იმ მორაგბეებს შორის იყო, ვინც ამ სახეობის დანერგვა დაიწყო საქართველოში და ბოლომდე უანგაროდ ემსახურა მას. სამწუხაროდ, დავით დავითაია უდროოდ წავიდა ცხოვრებიდან და აი, მისმა მეგობრებმა და საქართველოს რაგბის ჯავშირმა გადაწყვიტეს გამართონ მისი სახელობის ტურნირი. ეს იქნება პირველი საერთაშორისო ტურნირი ჩვენში ვეტერან მორაგბეთა შორის, რომელშიც იასპარეზებენ საქართველოს ორი, ლატვიის და ჰოლანდიის ვეტერან მორაგბეთა ნაკრებები.

პირველ ტურში, 29 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდებიან საქართველო „ა“ -ლატვია, საქართველო „ბ“-ჰოლანდია. 2 ნოემბერს ამ მატჩებში გამარჯვებულნი ითამაშებენ ფინალში, ხოლო დამარცხებულნი მესამე ადგილისათვის შეხვდებიან ერთმანეთს.

ჩოგბურთის ამბები

სტოკჰოლმი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მასამე წრეში გამოეთიშა ანდრეი ჩესნოკოვი. იგი ამერიკელ ბრედ ჯილბერტთან დამარცხდა — 3:6, 4:6. პიტ სამპრასმა მოუგო ჩეხოსლოვაკიელ პეტრ კორდას (6:3 3:6, 7:6), იუგოსლავიელმა გორან ივანიშევიჩმა — ჯონ მაკინროუს (6:4; 6:4), სტეფან ედბერგმა — შვეიცარიელ მარკ როსეტას (6:4; 6:4).

სან-ხუანი. ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში ელენე ბრიუხოვეცი დამარცხდა ამერიკელ ენ გროსმანთან 1:6; 6:4; 6:7.

ნბა-ს ყველა განზოგილება

ნბა-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ჩემპიონატის მეორე და ძირითად ეტაპს წარმოადგენს ფინალური ტურნირი ანუ ე. წ. პლეი-ოფი, რომელიც თავდაპირველად კონფერენციებში ტარდება, მერე კი იქ გამარჯვებული ორი გუნდი მთავარ ფინალს გაითამაშებს უკვე ჩემპიონის გამოსავლენად.



ა. რობერტსონი (მილუოკი)

პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით აღმოსავლეთ კონფერენციის პლეი-ოფში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: „დეტროიტმა“, „ჩიკაგომ“, „ფილადელფიამ“, „ბოსტონმა“, „ნიუ-იორკმა“, „მილუოკიმ“, „კლივლენდმა“ და „ინდიანამ“. რვა უძლიერესი კლუბი გამოვლინდა დასავლეთ კონფერენციაშიც: „ლეიკერსი“, „პორტლენდი“, „სან ანტონიო“, „იუტა“, „ფენიქსი“, „დალასი“, „დენვერი“ და „ჰიუსტონი“.

პლეი-ოფის მეოთხედფინალური მატჩები, როგორც წესი, სამ მოგებამდე ტარდება, ნახევარფინალები და ფინალები — ოთხ მოგებამდე. გთავაზობთ აღმოსავლეთ კონფერენციის მატჩების შედეგებს: მეოთხედფინალები. „დეტროიტი“ — „ინდიანა“ 3:0, „ნიუ-იორკი“ — „ბოსტონი“ 3:2, „ფილადელფია“ — „კლივლენდი“ 3:2, „ჩიკაგო“ — „მილუოკი“ 3:1; ნახევარფინალები. „დეტროიტი“ — „ნიუ-იორკი“ 4:3, „ჩიკაგო“ — „ფილადელფია“ 4:1; ფინალი. „დეტროიტი“ — „ჩიკაგო“ 4:3.

დასავლეთის კონფერენცია. მეოთხედფინალები. „ლეიკერსი“ — „ჰიუსტონი“ 3:1, „ფენიქსი“ — „იუტა“ 3:0, „სან ანტონიო“ — „დენვერი“ 3:0, „პორტლენდი“ — „დალასი“ 3:0; ნახევარფინალები. „ფენიქსი“ — „ლეიკერსი“ 4:1, „პორტლენდი“ — „სან ანტონიო“ 4:3; ფინალი. „პორტლენდი“ — „ფენიქსი“ 4:2.

ამის შემდეგ გაიმართა ნბა-ს ჩემპიონატის მთავარი მატჩი „დეტროიტსა“ და „პორტლენდს“ შორის. დიდი უპირატესობით (4:1) გამარჯვება „დეტროიტ პისტონსს“ ხვდა, რომელმაც მოიპოვა კიდეც ნბა-ს ჩემპიონის ტიტული 1989-1990 წლების სეზონისათვის.

ნბა-ს ექსპერტები პლეი-ოფის სტატისტიკას დამოუკიდებლად აწარმოებენ.

სნაიპერები (ერთ მატჩში). 1. მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“) — 49 ქულა („ფილადელფიასთან“).

შარიდან ასსლეტილი ბურთები (ერთ მატჩში) 1.-2. ჩარლზ ბარკლეი („ფილადელფია“) — 21 („კლივლენდთან“) და მარკ უესტი („ფენიქსი“) — 21 („იუტასთან“).

„საგოლე“ პასები. 1. ჯონ სტოქტონი („იუტა“) —19 („ფენიქსთან“).

ერთ მატჩში უველაზე დიდხანს ითამაშეს ჯერომ კერსიმ („პორტლენდი“) — 54 წუთი (ძირითადი დრო და ორი დამატებითი პერიოდი) და ტერი პორტერმა (იგივე მაჩვენებელი „სან-ანტონიოსთან“).

ერთ მატჩში უველაზე მეტი ორეულიანი სროლა შეასრულა მაიკლ ჯორდანმა — 20 („მილუოკისთან“).

ერთ მატჩში უველაზე მეტი სამქულიანი სროლა შეასრულეს კევინ ჯონსონმა („ფენიქსი“) — 6 („იუტასთან“) და ბილ ლემბერმა („დეტროიტი“) — 6 („პორტლენდთან“).

ერთ მატჩში უველაზე მეტი შედეგიანი საჯარიმო სროლა შეასრულა პატრიკ იუინგმა („ნიუ-იორკი“) —17 („დეტროიტთან“).

ჯო დუმარსი (დეტროიტი)

ერთ მატჩში უველაზე მეტჯერ „დაფარა ბურთს“ აკიმ ოლაჯუონმა („ჰიუსტონი“) — 10-ჯერ („ლეიკერსთან“).

ერთ მატჩში უველაზე მეტჯერ „ჩაჭრა“ ბადაცემა პატრიკ იუინგმა („ნიუ-იორკი“) — 7-ჯერ. („ბოსტონთან“).

ჩემპიონატის შემდეგ ტრადიციულად ასახელებენ ნბა-ს სამ უძლიერეს ხუთეულს.

პირველი გუნდი. მცველები — მეჯიკ ჯონსონი („ლეიკერსი“) და მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“), ცენტრალური თავდამსხმელი — პატრიკ იუინგი („ნიუ-იორკი“), თავდამსხმელები — ჩარლზ ბარკლეი („ფილადელფია“) და კარლ მელოუნი („იუტა“).

მეორე გუნდი. მცველები — ჯონ სტოქტონი („იუტა“) და კევინ ჯონსონი („ფენიქსი“), ცენტრალური თავდამსხმელი — აკიმ ოლაჯუონი („ჰიუსტონი“), თავდამსხმელები — ტომ ჩემბერსი („ფენიქსი“) და ლარი ბიორდი („ბოსტონი“).

მესამე გუნდი. მცველები — კლაიდ დრექსლერი („პორტლენდი“) და ჯო დუმარსი („დეტროიტი“), ცენტრალური თავდამსხმელი — დევიდ რობინსონი („სან ანტონიო“), თავდამსხმელები — კრის მალინი („გოლდენ სტეიტი“) და ჯეიმს უორთი („ლეიკერსი“).

ნბა-ს ექსპერტები სეზონის დამთავრების შემდეგ, ტრადიციულად, ახალბედა კალათბურთელთაგან ორ ნაკრებ გუნდს აგდგენენ. აი ისინიც.

პირველი გუნდი. დევიდ რობინსონი („სან ანტონიო“), ტიმ პარდუეი („გოლდენ სტეიტი“), ვლადო დივაცი („ლეიკერსი“), შერმან დუგლასი („მაიამი“) და ბუ რიჩარდსონი („მინესოტა“).

მეორე გუნდი. ჯ. რ. რეიდი („შარლოტი“), შონ ელიოტი („სან ანტონიო“), სტეისი კინგი („ჩიკაგო“), ბლუ ედვარდსი („იუტა“), გლენ რაისი („მაიამი“).

დაბოლოს, ნბა-ს ოფიციალურ საპატიო ჯილდოების მფლობელებზე:

უველაზე სასარგებლო მოთამაშე — მეჯიკ ჯონსონი („ლეიკერსი“).

წლის საუკეთესო მწვრთნელი — პატ რაილი („ლეიკერსი“).

საუკეთესო ახალბედა — დევიდ რობინსონი („სან ანტონიო“).

საუკეთესო მცველი — დენის როდმანი („დეტროიტი“)

უველაზე პერსპექტიული კალათბურთელი — რონი სიკალი („მაიამი“).

24 მილიონი დოლარი... დამარცხებისთვის

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კრივში პროფესიონალთა შორის გახდა ევანდერ ჰოლიფილდი. მატჩს ჯეიმს დუგლასთან, რომელიც მოეწყო ლასვეგასის ერთ-ერთ ფეშენებელური კაზინოს „მარაჟის“ ღია რინგზე, თვალყურს ადევნებდა 16 ათასი კრივის მოყვარული. ბრძოლის მსვლელობას ამერიკის საკაბელო ტელევიზია გადასცემდა.

მატჩის შემდგომ კომენტარებში სპეციალისტები მსოფლიო ჩემპიონის ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასის დამარცხების მთავარ მიზეზად მის მოუმზადებლობას აღნიშნავენ. გაზეთები წერენ, რომ ამ შეხვედრისთვის დუგლასი 111 კილოგრამს იწონიდა და ალბათ, ამის გამო, საკმაოდ დუნედ იბრძოდა, ცოტას მოძრაობდა რინგზე და უყურადღებოდ იცავდა თავს.

ჰოლიფილდის უპირატესობა პირველ ორ რაუნდმიც იგრძნობოდა. მესამეში კი მან ბრწყინვალე ჰუკი განახორციელა და უგრძნობლად დაადო მეტოქე რინგზე. ჩემპიონი გონს მოვიდა რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა იგი სეკუნდანტებს გაჰყავდათ სარბელიდან.

დამხობილმა მსოფლიო ჩემპიონმა ჰონორარის სახით 24 მილიონ 75 ათასი დოლარი მიიღო, ახალმა ჩემპიონმა კი 8 მილიონ 25 ათასი. მაგრამ ამიერიდან შომავალი მატჩების პირობებს უკვე ევანდერ ჰოლიფილდი განსაზღვრავს.

საინტერესოა ერთი დეტალიც. ჰოლიფილდმა ამ ბრძოლის დაწყებამდე მოაწერა ხელი კონტრაქტს 42 წლის ჯორჯ ფორმენთან შეხვედრაზე. ასე რომ, ახალ მსოფლიო ჩემპიონს თავისი ტიტულის დაცვა პირველად ფორმენთან მოუხდება. შემდეგი მეტოქე კი ალბათ მსოფლიოს ექსჩემპიონი მაიკ ტაისონი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მოკრივეთა მსოფლიო ასოციაცია და კრივის საერთაშორისო ფედერაცია მხარს სწორედ ტაისონის კანდიდატურას უჭერენ.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

პირველი დუბლი

იაპონიაში „სუძუკას“ ტრასაზე გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის მე-15 ეტაპი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა იაპონიის „გრან პრი“.

საკვალიფიკაციო რბოლების წინ გაირკვა, რომ ბოლო ორ ეტაპში ალესანდრო ნანინის, რომელიც ავიაკატასტროფაში მოჰყვა, შეცვლის ბრაზილიელი რობერტო მორენო, ხოლო ინგლისელ ჯონ ბერბერტი — ირლანდიელ მარტინ დონელის. პაოლო ბარილას, რომელმაც პორტუგალიასა და ესპანეთში საკვალიფიკაციო შეჯიბრება ვერ გაიარა, შეცვლის ჯანი მორბიდელი.

51-ე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო აირტონ სენამ და სტარტი კვლავ პირველი რიგიდან აიღო, მეორე იყო ალენ პროსტი.

სტარტის შემდეგ სენამ წინ გაუშვა პროსტი და ტექნიკური ილეთით აპირებდა პირველივე მოსახვევთან გასწრებას, მაგრამ ფრანგმა პილოტმა მას გზა გადაუღობა და ისინი შეეჯახნენ ერთმანეთს. ამ ავარიით დასრულდა ალენ პროსტის ოცნება გამხდარიყო ოთხგზის ჩემპიონი, ხოლო მისი მთავარი მეტოქე, ბრაზილიელი აირტონ სენა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა.

რბოლა კი გაგრძელდა. 26-ე წრემდე ლიდერობდნენ გერჰარდ ბერგეური და ნაიჯელ მენსელი, შემდეგ დაწინაურდა ნელსონ პიკე და რბოლაც პირველმა დაამთავრა.

ბრაზილიელმა პილოტმა პირველი გამარჯვება იზეიმა „ბენეტონის“ საჭესთან, საერთოდ — 21-ე, თვით იტალიურ-ინგლისური გუნდისთვის კი ეს იყო მესამე გამარჯვება:

1. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია), „ბენეტონ-ბე-ემ-ვე“ — 1986 წ. მექსიკა;

2. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 1989, იაპონია;

3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 1990, იაპონია.

ნელსონ პიკემ 53 წრე (310,527 კმ) დაფარა 1 საათში, 34 წუთსა და 36,824 წამში (საშუალო სიჩქარე საათში 196,923 კილომეტრი).

ტრასის რეკორდი ზედიზედ მესამედ დაამყარა რიკარდო პატრეზემ. 1 წუთი და 44,233 წამი (საშუალო სიჩქარე საათში 202,358 კილომეტრი).

რბოლის საბოლოო შედეგი:

1. ნელსონ პიკე — 9; 2. რობერტო მორენო — 6 (ორივე —ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“); 3. აუგური სუძუკი (იაპონია, „ლოლა ლამბორგინი“) —4; 4. რიკარდო პატრეზე (იტალია), — 3; 5. ტიერი ბუტსანი (ბელგია) — 2 (ორივე — „უილიამს-რენო“); 6. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ტაირელ-ფორდი“) — 1.

ჰპირადი ჩათვლა:

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 78; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 69; 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 40; 4. ნელსონ პიკე — 35; 5. ტიერი ბუტსანი — 32; 6. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) —31; 7. რიკარდო პატრეზე — 22; 8. ალესანდრო ნანინი — 21; 9. ჟან ალესი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი“) — 13; 10-12. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუს-ჯადი“), რობერტო მორენო, აუგური სუძუკი — 6-6 ქულა; 13. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა-ლამბორგინი“) — 5; 14-15. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ლოტუს-ლამბორგინი“). სატორუ ნაკაჰიმა — 3-3 ქულა; 16-17. სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრებემ-ჯადი“), ალეჭს კაფი (იტალია, „ეროუს-ფორდი“) — 2-2; 18. მაურიციო გუჟელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ ჰაუს-ჯადი“) — 2 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი“ — 118; 2. „ფერარი“ — 100; 3. „ბენეტონი“ — 62; 4. „უილიამსი“ — 54; 5. „ტაირელი“ — 16; 6. „ლოლა“ — 11; 7. „ლეიტონ ჰაუსი“ — 7; 8, „ლოტუსი“ — 3; 9-10 „ბრებემი“, „ეროუზი“ — 2-2 ქულა.

ჩემპიონატის ბოლო, მე-16 ეტაპი გაიმართება 4 ნოემბერს, ავსტრალიაში, ქალაქ ადელაიდას ქუჩებში.

დავით ჩუბინიძე.

ყურადღება!

საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ სპორტული ლატარიების საagენტო გაცნობებთ, რომ მისი მიზეზით მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებულ საფეხბურთო სპორტპროგნოზის II და III ტირაჟის შედეგებში დაშვებულია უზუსტობა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით სპორტის გულშემატკივრებს და გთავაზობთ დაზუსტებულ შედეგებს.

II ტირაჟი

ტირაჟში დაშვებულია 1939 ბილეთი. I, II და III ჯგუფები არავის გამოუცვნია, IV ჯგუფის გამოცნობისათვის (49) მოგება 59 მანეთია. მოგებები გაიცემა 1990 წლის 23 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე.

III ტირაჟი

ტირაჟში დაშვებულია 687 ბილეთი. I, II და III ჯგუფები არავის გამოუცვნია. IV ჯგუფის გამოცნობისათვის (46) მოგება 22 მანეთია. მოგებები გაიცემა 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე.

საფეხბურთო სპორტპროგნოზი

V ტირაჟი

7.XI.90.

„სიონი“ (ბოლნისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი)
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ხაპოვნელა“ (თერჯოლა)

8.XI.90.

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო)
„ოდიში“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი)
„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ცხუმი“ (სოხუმი)
„დილა“ (გორი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი)
„გორდა“ (რუსთავი) — „ხანავარდი“ (სამტრედია)
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი)
„ივერია“ (ბაზური) — „ბათუმი“ (ბათუმი)
„მზიური“ (გალი) — „იბერია“ (თბილისი)

სპორტპროგნოზის ბილეთების ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 4 ნოემბერი.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები მ. ძეძა მიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, ზ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ანგარიშსწორების ანგარიში: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380098, თბილისი, ზ. კოსტავას ქ. 14, ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20